რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 545/თ

„29“ ნოემბერი, 2018 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოებში შემოსულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეებზე ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებას აღსასრულებლად მიაქცევს დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის ან აღნიშნულ მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრისათვის საჯარიმო ქვითრის ფოსტით ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე და 208^2 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებზე დაჯარიმებისას – დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დინება შეჩერდება დადგენილების, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234^1 მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში - საჩივრის ან პროტესტის განუხილველად დატოვების თაობაზე შეტყობინების ჩაბარებამდე, გარდა ამ მუხლის 1^5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის 1^5-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე და 208^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დაჯარიმების შესახებ დადგენილებების გასაჩივრება არ აჩერებს ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის დინებას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება არ აღსრულდება, თუ იგი აღსასრულებლად მიქცეული არ იყო გამოტანიდან 6 თვის ვადაში.

ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესების განუხრელად დაცვის უზრუნველსაყოფად და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე აღსრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწის, მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნის და კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების თანამშრომლების დამატებითი მოვალეობები.

ზემოაღნიშნილიდან გამომდინარე „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ „ო“და „ს“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტს, რომელსაც დავალებული აქვს უფლებამოსილების განხორციელება ძირითადად ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის კანცელარიის სპეციალისტს დაევალოს, სასამართლოში შემოსული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის თაობაზე მონაცემების დაუყოვნებლივ შეყვანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა დაკისრებულ პირთა შესახებ ელექტრონულ ცხრილში, სადაც სავალდებულოდ უნდა აღნიშნოს:

   ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ნომერი;
   ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სასამართლოში შემოსვლის თარიღი;
   გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალების შემომტანი ორგანო;
   დ) შემომტანი ორგანოს კოდი: შსს - 1, სხვა - 2;
   ე) სამართალდამრღვევი პირის სახელი, გვარი;
   ვ) არასრულწლოვანთან დაკავშირებულ საქმეებზე, ასევე ქალი სამართალდამრღვევის არსებობის შემთხვევაში ელექტრონულ ცხრილში განახორციელოს შესაბამისი აღნიშვნა;
   ზ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლი;
   თ) საქმის ელექტრონული განაწილების პროგრამის მეშვეობით, ხოლო ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ რიგითობის წესით შერჩეული მოსამართლე, ვისზეც მოხდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განაწილება;
   ი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის კანცელარიაში ჩაბარების თარიღი;
   კ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გასაჩივრების შემთხვევაში, ინფორმაცია თუ ვინ გაასაჩივრა მითითებული საქმე;
   ლ) როდის გაიგზავნა გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოში;
   მ) როდის დაბრუნდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში;
   ნ) გასაჩივრების შედეგი.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტი, რომელსაც დავალებული აქვს უფლებამოსილების განხორციელება ძირითადად ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის კანცელარიის სპეციალისტი ვალდებულია

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის კანცელარიაში ჩაბარებისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოებში დაბრუნებისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დაარქივებისას განახორციელოს აღსრულებაზე კონტროლი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა დაკისრებულ პირთა შესახებ ელექტრონული ცხრილის მეშვეობით;

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწეს, ხოლო მოსამართლის თანაშემწის სამსახურში არ ყოფნის შემთხვევაში სხდომის მდივანს და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივანს დაევალოს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის თაობაზე მონაცემების დაუყოვნებლივ შეყვანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა დაკისრებულ პირთა შესახებ ელექტრონულ ცხრილში, სადაც სავალდებულოდ უნდა აღნიშნოს:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დამთავრების თარიღი;
ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შედეგი;
გ) ადმინისტრაციული სახდელის სახით დამატებითი სასჯელის არსებობის შემთხვევაში ელექტრონულ ცხრილში განახორციელოს შესაბამისი აღნიშვნა;
დ) ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის შეფარდების შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა, ამასთან დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ: გადაიხადა თუ არა და როდის სამართალდამრღვევმა დაკისრებული ჯარიმა, ასევე სააღსრულებო ფურცლის გაცემისა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში გაგზავნის თარიღი.

4. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს კანცელარიის განყოფილების და აპარატის თანამშრომლებს;

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს;

6. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 29 ნოემბრიდან;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე